საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების რეტროსპექტივა 2009-2023 წლებში

მარიკა ოქრომჭედლიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

https://doi.org/10.52340/gbsab.2025.54.07

შესავალი.

ის ფაქტი, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში სათანადოდ ვერ ვითარდება, რაც იწვევს ქვეყანაში მაღალი დონის უმუშევრობას, იმით აიხსნება, რომ საქართველოში არ არის შექმნილი მისი განვითარების სათანადო პირობები.

როგორც ცნობილია საქართველო დანარჩენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ერთად 70 წლის განმავლობაში სოციალისტური ქვეყანა იყო. 1992 წლიდან საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველო გახდა რა დამოუკიდებელი ქვეყანა, მან დაიწყო თავისი სოციალისტური მეურნეობის გადაწყობა კაპიტალისტურ, ანუ საბაზრო მეურნეობად. ამ საქმეს საქართველოში ხელმძღვანელობდნენ მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდი.

მას შემდეგ 33 წელი გავიდა და ვერ ვიტყვით, რომ ამ პერიოდში საქართველო ერთ-ერთი მოწინავე კაპიტალისტური ქვეყანა გახდა. ქვეყანა სიღარიბეშია, მაღალია უმუშევრობის დონე და რაც მთავარია, გაქრა იმის იმედიც, რომ მალე უკეთეს პირობებში ვიცხოვრებთ...

ძირითადი ტექსტი. საქართველოში ბიზნესი იყოფა მცირე (მ. შ. მიკრო), საშუალო და მსხვილ ბიზნესად. წინამდებარე სტატიაში მხოლოდ მცირე და საშუალო ბიზნესზე ვისაუბრებთ და მათი საქმიანობის ანალიზს მოვახდენთ გასულ 2009-2023 წლებში.

თავიდანვე იმას ავღნიშნავთ, რომ 2019 წელს საქართველოში დარეგისტრირებულ 437424 მცირე საწარმოდან აქტიური იყო არა 80-90%, როგორც ეს საზღვარგარეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ხდება, არამედ, მხოლოდ 21,7%, 2020 წელს - 21,2%, 2021 წელს - 21,4%, 2022 წელს - 21,6%, ხოლო 2023 წელს - 26,5% (იხ. ცხრილი 1). იგივე ითქმის საშუალო საწარმოებზე: 2019 წელს აქტიური იყო დარეგისტრირებულ საწარმოთა 17,9%, 2020 წელს - 22,2%, 2026 წელს - 21,8%, 2022 წელს - 21,6%, ხოლო 2023 წელს - 20,8%. მაშასადამე, საქართველოში აქტიურ საწარმოთა ხვედრითი წონა 2019-2023 წლების პერიოდში საშუა¬ლოდ წელიწადში შეადგენდა მცირე ბიზნესში - 18%, ხოლო საშუალო ბიზნესში - 17,4%-ს. საწარმოთა აქტიურობის ასეთი დაბალი დონე აქვთ მსოფლიოს დაბალგანვითარებულ ქვეყნებს - ნიგერიას, მაროკოს და სხვებს.

იმის დასადგენად, რომ გაგვეგო უპირატესად რომელ სფეროებშია მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოთა ამოქმედება შეჩერებული (თუ შეფერხებული), გავაანალიზეთ 2023 წლის სტატისტიკური ინფორმაცია და მივიღეთ შემდეგი შედეგები (იხ. ცხრილი 2). უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ ინფორმაციაში შედიან მსხვილი საწარმოებიც, ცალკე აქტიურ მცირე და საშუალო საწარმოთა რიცხვს საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი დარგების მიხედვით არ აქვეყნებს. ცხრილი 2-ით ირკვევა, რომ 2023 წელს საქართველოში რეგსიტრირებულ საწარმოთა 24,3% იყო აქტიური, აქედან სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში საწარმოთა 30,7%, სამთომომპოვებელ მრეწველობაში - 30,5%, ელექტროენერგიის მიწოდებაში - 38%, დამამუშავებელ მრეწველობაში - 35%, წყალმომარაგება-კანალიზაციაში - 23,5%, მშენებლობაში -

45,1%, ვაჭრობაში - 37,6%, ტრანსპორტსა და დასაწყობებაში - 53,4%, განთავსების საშუალებებით უზრუნველ¬ყოფაში - 36,8%, ინფორმაცია და კომუნიკაციაში - 67,3%, უძრავ ქონებაში - 55,4%, პროფესიულ და სამეცნიერო საქმიანობაში 45,3% და ა. შ. დანარჩენ დარგებში აქტიურობა იყო მეტად დაბალი.

ცხრილი 1. დარეგისტრირებულ და აქტიურ (მოქმედ) მცირე და საშუალო საწარმოთა თანაფარდობა საქართველოში 2019-2023 წლებში [ბიზნეს სექტორი... 2024, გვ. 25, 28]

	2019	2020	2021	2022	2023
1. მცირე საწარმოთა რაოდენობა (ერთეული):					
✓ დარეგისტრირებული	437425	455107	478041	525632	570780
✓ ამოქმედებული (აქტიური)	95112	95983	102501	128646	151434
✓ ამოქმედებულ საწარმოთა ხვ. წონა (%-ში)	21,7%	21,1%	21,4%	21,6%	26,5%
2. საშუალო საწარმოთა რაოდენობა (ერთეული):					
✓ დარეგისტრირებული	35998	288358	309411	329225	347734
✓ ამოქმედებული (აქტიური)	64651	63987	67693	71068	72400
✓ ამოქმედებულ საშუალო საწარმოთა ხვ. წონა (%-ში)	17,9%	22,2%	21,8%	21,6%	20,8%

ცხრილი 2. საქართველოში რეგისტრირებულ და აქტიურ საწარმოთა (მცირე, საშუალო და მსხვილი) რაოდენობა და დარგობრივი სტრუქტურა 2023 წელს

დარგები და ქვედარგები	**2023 წელი**		
	რეგისტრირებული საწარმოები	**აქტიური საწარმოები**	**აქტიურ საწარმოთა ხვ. წილი რეგისტრირებულ საწარმოებში**
სულ დარგები და ქვედარგები მათ შორის:	921450	224538	24,3%
1.სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	11129	3420	30,7
2. სამთომოპოვებითი და კარიერული დამუშავება	2289	699	30,5
3. დამამუშავებელი მრეწველობა	51010	17900	35
4. ელექტროენერგიის, წყლის, ჰაერის მიწოდება	529	202	38
5. წყალმომარაგება-კანალიზაცია, დასუფთავება	854	201	23,5
6. მშენებლობა	42112	19006	45,1
7. ვაჭრობა და რემონტები	205974	77529	37,6

8. ტრანსპორტი და დასაწყობება	46504	24873	53,4
9. განთავსება და საკვების მიწოდება	29233	10767	36,8
10. ინფორმაცია და კომუნიკაცია	35682	24027	67,3
11. უძრავ ქონებასთან საქმიანობა	14136	7829	55,4
12. პროფესიული და სამეცნიერო საქმიანობა	24426	11308	45,3
13. ადმინისტრაციული და დამხმარე საქმიანობა	16045	7211	45
14. განათლება	7235	3400	47
15. ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება	6086	3147	52
16. ხელოვნება, გართობა, დასვენება	5733	2460	42,9
17. სხვა სახის მომსახურება	16778	5492	38,7
18. საქმიანობა უცნობია	405695	5067	1,2

მე-2 ცხრილში ჩამოთვლილ 18 საქმიანობიდან საქართველოში 2023 წელს რეგისტრირებულ საწარმოთაგან 50%-ზე მეტი ამოქმედებულია მხოლოდ ოთხ საქმიანობაში. ესენია:

- ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება - 52%.
- უძრავი ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა - 55,4%.
- ინფორმაცია და კომუნიკაცია - 67,3%.
- ტრანსპორტი და დასაწყობება - 53,4%.

თუ მე-2 ცხრილს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ აქტიურ ანუ მოქმედ საწარმოთა ყველაზე დაბალი ხვედრითი წილი (23,5%) აქვს წყალმომარაგება-კანალიზაციას, ყველაზე მაღალი კი ინფორმაცია და კომუნიკაციის საწარმოებს.

ცხადია, გავაანალიზეთ როგორც მცირე ისე საშუალო საწარმოთა საქმიანობის მაჩვენლებიც. ეს მაჩვენებლებია: ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დამატებული ღირებულება, შუალედური მოხმარება, ხარჯები, მოგება-ზარალი, დასაქმება, თვიური ხელფასი, შრომის მწარმოებლურობა და კაპიტალის მწარმოებლურობა. ანალიზმა მოიცვა 2009-2023 წლების პერიოდი. მე-3 ცხრილში წარმოვადგინეთ საქართველოს მცირე ბიზნესის მოქმედ საწარმოთა მოქმედ საშუალო საწარმოთა იგივე მაჩვენებლები და მათი დინამიკა (იხ. ცხრილი 3 და ცხრილი 4).

ცხრილი 3 გვიჩვენებს, რომ 2009-2023 წლების პერიოდში საქართველოში მოქმედი (აქტიური) მცირე საწარმოები კარგად მუშაობდნენ: მათ ბრუნვა გაზარდეს 25-ჯერ, პროდუქტის გამოშვება - 25,8-ჯერ, დამატებული ღირებულება - 27,9-ჯერ, შუალედური მოხმარება - 23,8-ჯერ; მნიშვნელოვნად გაზრდილი აქვთ დანარჩენი ეკონომიკური მაჩვენებლებიც, მათ შორის ხარჯებიც. რომელთა ზრდა, გარკვეულ დონეზე მეტად არ არის დასაშვები. ეს დონე დაცული აქვთ საქართველოს მცირე საწარმოებს. ხარჯები არც ბრუნვის ტოლად არის გაზრდილი და არც მასზე მეტად.

ცხრილი 3. საქართველოს მცირე ბიზნესის საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლები და მათი დინამიკა 2009-2023 წლებში

[ბიზნეს სექტორი... 2024, გვ. 30, 41, 52, 63, 75, 88, 130].
[ბიზნეს სექტორი... 2020, გვ. 27, 39, 60, 72, 85, 109]
[ბიზნეს სექტორი... 2010, გვ. 27, 38, 72, 85, 109, 120, 127, 130]

ეკონომიკური მაჩვენებლები	ზომის ერთეული	2009	2019	2023	დინამიკა	
					2023 წელი %-ად 2009 წელთან	2023 წელი %-ად 2019 წელთან
1.ბრუნვა	მლნ ლარი	1464,1	27454,9	36657,2	2503,9	133,5
2.პროდუქციის გამოშვება	მლნ ლარი	881,3	15193,3	22776,7	2584,4	149,9
3. დამატებული ღირებულება	მლნ ლარი	427,6	7897,9	11949,0	2798,3	151,3
4. შუალედური მოხმარება	მლნ ლარი	453,7	7295,4	10827,7	2386,5	148,4
5. ხარჯები	მლნ ლარი	1411,5	1020,5	31923,9	2255,4	312,9
6. მოგება-ზარალი (+, -)	ათასი ლარი	+967,6	+3415,4	+4353,6	450,1	127,5
7. დასაქმება	კაცი	86086	339152	327876	380,8	96,6
8. თვიური ხელფასი	ლარი	273,2	893,5	1306,3	478,3	146,3
9. შრომის მწარმოებლურობა	ლარი	10237	44798	69467	678,5	155,0
10.კაპიტალმწარმოებლურობა	ლარი	1444,2	1817,3	2084,3	144,3	114,6

ცხრილი 3. საქართველოს საშუალო ბიზნესის საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლები და მათი დინამიკა 2009-2023 წლებში

[ბიზნეს სექტორი... 2010, გვ. 27, 38, 49, 72, 85, 109, 120, 127, 130].
[ბიზნეს სექტორი... 2020, გვ. 27, 39, 60, 72, 85, 109]
[ბიზნეს სექტორი... 2024, გვ. 30, 41, 52, 63, 75, 88, 130]

ეკონომიკური მაჩვენებლები	ზომის ერთეული	2009	2019	2023	დინამიკა	
					2023 წელი %-ად 2009 წელთან	2023 წელი %-ად 2019 წელთან
1.ბრუნვა	მლნ ლარი	1701,2	21065,5	36657,2	2155,0	174,0
2.პროდუქციის გამოშვება	მლნ ლარი	1151,5	12535,6	19165,8	1665,0	155,8
3. დამატებული ღირებულება	მლნ ლარი	593,6	5906,7	9513,6	1604,2	161,8

4. შუალედური მოხმარება	მლნ ლარი	558,0	6628,9	9652,3	1729	145,6
5. ხარჯები	მლნ ლარი	1668,7	8074	28247,8	1695,8	349,8
6. მოგება-ზარალი (+, -)	ათასი ლარი	-37394,6	+1336,1	+3128,4	-	234,2
7. დასაქმება	კაცი	78198	152516	163086	208,5	106,9
8. თვიური ხელფასი	ლარი	359,5	1416,8	2199,7	612,7	155,2
9. შრომის მწარმოებლურობა	ლარი	14726	82192	117520	798,0	142,9
10.კაპიტალმწარმოებლურობა	ლარი	842,3	1311,8	1485,6	176,4	113,2

მცირე საწარმოთა საქმიანობა დამაკმაყოფილებელია 2019-2023 წლების პერიოდშიც. ცხრილ 3-ში წარმოდგენილი ყველა ეკონომიკური მაჩვენებელი, გარდა დასაქმების მაჩვე¬ნებლისა, მნიშვნელოვნად გაზრდილია, დასაქმების მაჩვენებელი კი შემცირებულია 3,4%-ით.

რაც შეეხება საქართველოს საშუალო ბიზნესის მოქმედ საწარმოებს, აქაც, ისე როგორც მცირე საწარმოებში 2009-2023 წლებში მათი ეკონომიკური მაჩვენებლები (ძირითადად პირველი 5 მაჩვენებელი) გაზრდილია 17-20-ჯერ, 2019-2023 წლებში კი, საშუალო საწარმოებს არცერთ ეკონომიკურ მაჩვენებელში არ ჰქონიათ შემცირება.

დასკვნა. საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა რეტროსპექტულ ანალიზმა გვიჩვენა, რომ 2009-203 წლებში აღნიშნული საწარმოები კარგად მუშაობდნენ. ამ ორივე სფეროს ნაკლი ის არის, რომ აქტიურ საწარმოთა ხვედრითი წილი არ აღემატება რეგის¬ტრირებულ საწარმოთა 21-22%-ს. ამ მაჩვენებლით საქართველო 3-4-ჯერ ჩამორჩება საზღვარგარეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიზნეს სექტორი საქართველოში. თბ., 2010 წელი.
2. ბიზნეს სექტორი საქართველოში. თბ., 2020 წელი.
3. ბიზნეს სექტორი საქართველოში. თბ., 2024 წელი.

.

რეზიუმე

სტატია - „საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების რეტროსპექტივა 2009-2023 წლებში“ - ეძღვნება მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოთა საქმია¬ნობის ანალიზს გასულ 15 წელიწადში. ამ პერიოდში მცირე საწარმოთა მიერ ბრუნვა გაზრდილია 25-ჯერ, პროდუქციის გამოშვება 25,8-ჯერ, დამატებული ღირებულება - 27,9-ჯერ, შუალედური მოხმარება 23,6-ჯერ და ა. შ. 3-6-ჯერ გაზრდილია მოგება, ხელფასი, შრომის მწარმოებლურობა და ა. შ.

იგივე მდგომარეობა აღინიშნა საშუალო ბიზენსშიც. პირველ 4-5 ეკონომიკურ მაჩვენებელში, აქაც 16-21-ჯერ ზრდა დაფიქსირდა, დანარჩენი მაჩვენებლები კი გაიზარდა, მაგრამ არა ასეთი დიდი ტემპით.

დარგების მიხედვით როგორც მცირე, ისე საშუალო და ისე მსხვილ რეგისტრირებულ და აქტიურ საწარმოთა რაოდენობამ გვიჩვენა, რომ 2023 წელს 4 დარგში აქტიურ საწარმოთა ხვ. წონა 52-67%-ია. ეს დარგებია: ჯანდაცვა, უძრავი ქონების საქმიანობა, ტრანსპორტი და დასაწყობება და ინფორმაცია და კომუნიკაცია.

საკუთრივ აქტიურ მცირე საწარმოთა ხვედრითი წილი 2019-2023 წლებში გაზრდილია 21,7%-დან 26,5%-მდე, ხოლო აქტიურ საშუალო საწარმოთა ხვედრითი წილი საქართველოში გაზრდილია 17,9%-დან 20,8%-მდე.

RETROSPECTIVE OF THE DEVELOPMENT OF SMALL AND MEDIUM-SIZED BUSINESSES IN GEORGIA IN 2009-2023

MARIKA OKROMCHEDLIDZE
Doctoral of Georgian Technical University

ABSTRACT

The article - "**Retrospective of the Development of Small and Medium-sized Businesses in Georgia in 2009-2023"** - is dedicated to the analysis of the activities of small and medium-sized enterprises over the past 15 years. During this period, the turnover of small enterprises has increased 25 times, production output 25.8 times, added value - 27.9 times, intermediate consumption 23.6 times, etc. Profits, wages, labor productivity, etc. have increased 3-6 times.

The same situation was noted in the average business. In the first 4-5 economic indicators, a 16-21-fold increase was also observed, while the remaining indicators increased, but not at such a high rate.

The number of registered and active enterprises, both small, medium and large, by sector showed that in 2023 the share of active enterprises in 4 sectors is 52-67%. These sectors are: healthcare, real estate activities, transport and warehousing, and information and communication.

The share of actually active small enterprises increased from 21.7% to 26.5% in 2019-2023, while the share of active medium-sized enterprises in Georgia increased from 17.9% to 20.8%.

Keywords: Retrospective; Active Small Enterprises; Active Medium Enterprises.